შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ზოგადი უნარების ტესტი

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. სტანდარტული : სტანდარტი

ტრადიციული :

(ა) ადათი

(ბ) ნოვაცია

(გ) ისტორია

(დ) ცერემონია

(ე) გადმონაშთი

2. სარეველა : ბოსტანი

ვირუსი :

(ა) ვაქცინა

(ბ) ინფექცია

(გ) სიმპტომი

(დ) პრეპარატი

(ე) ორგანიზმი

3. რეპერტუარი : ასორტიმენტი

წიგნის სარჩევი:

(ა) სქემა

(ბ) მენიუ

(გ) რეცეპტი

(დ) ცხრილი

(ე) პროექტი

4. კომენტარს ურთავს : გასაგები **თხზავს :**

(ა) გამეორებული

(ბ) ციტირებული

(გ) შთაგონებული

(დ) ორიგინალური

(ე) ინფორმაციული

5. დამალული : ძებნა

დადანაშაულებული :

(ა) დაბრალება

(ბ) აღიარება

(გ) მხილება

(დ) დასჯა

(ე) დაცვა

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

6. ჩვილებს მიჯაჭვულობა იმ ადამიანის მიმართ უჩნდებათ, ვინც მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს. ------ , საკვების მიღება დედებსა და შვილებს შორის ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის ------ ფაქტორია. ------ , რომ მიჯაჭვულობა მხოლოდ შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული: ჩვილი ბავშვები მიჯაჭვულობას ------ , რომლებიც მათ ------ აჭმევენ.

(ა) მაგალითად / მნიშვნელოვანი / მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით / ავლენენ ოჯახის იმ წევრების მიმართაც / იშვიათად

(ბ) თუმცა / ნაკლებად მნიშვნელოვანი / შესაბამისად, ვერ ვიტყვით / არ ავლენენ ოჯახის იმ წევრების მიმართაც / იშვიათად

(გ) მაგალითად / მნიშვნელოვანი / ამიტომ შეიძლება ითქვას / არ ავლენენ ოჯახის იმ წევრების მიმართ / ხშირად

(დ) თუმცა / ნაკლებად მნიშვნელოვანი / შესაბამისად, შეიძლება ითქვას / ავლენენ ოჯახის იმ წევრების მიმართაც / ხშირად

7. კომპიუტერული ქსელის გამოყენებით ------ დისტანციის შემცირება მაღალი და დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებს შორის. ის ------ საინფორმაციო სივრცეს ქმნის. ------ , მას შეუძლია ფენებს შორის არსებული მანძილის ------ . ამას გამოიწვევს ხარისხიანი ინფორმაციის მიღებაზე დაწესებული მაღალი გადასახადი. შესაბამისად, ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ------ მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის.

(ა) უფრო და უფრო რთულდება / მათთვის არათანაბრად ხელმისაწვდომ / მიუხედავად ამისა / შემცირებაც / გაიზრდება სხვაობა

(ბ) უფრო და უფრო მარტივდება / ორივე ფენისთვის საერთო / თუმცა / გაზრდაც / შესაძლოა, შემცირდეს სხვაობა

(გ) არარეალურია / არათანაბრად ხელმისაწვდომ / ამავდროულად / შემცირებაც / შემცირდება სხვაობაც

(დ) შესაძლებელი ხდება / ორივე ფენისთვის საერთო / ამავდროულად / გაზრდაც / შესაძლოა, გაიზარდოს სხვაობა

8. ბიოსფერო, რომელიც მცენარეებსა და ცხოველებს მოიცავს, ბუნების არაცოცხალ ნაწილთან შედარებით ------ , ის დიდ გავლენას ------ ბუნების არაცოცხალ ნაწილზე. მცენარეთა გავლენა ------ , რადგან მათი რაოდენობა ------ .

(ა) არცთუ ისე მცირეა. მიუხედავად ამისა / ვერ ახდენს / განსაკუთრებით მნიშვნელოვანია / ცხოველებისაზე ნაკლებია

(ბ) უფრო მცირეა. მიუხედავად ამისა / ახდენს / განსაკუთრებით მნიშვნელოვანია / სჭარბობს ცხოველებისას

(გ) უფრო მცირეა. სწორედ ამიტომ / ვერ ახდენს / კიდევ უფრო უმნიშვნელოა / სჭარბობს ცხოველებისას

(დ) არცთუ ისე მცირეა. სწორედ ამიტომ / ახდენს / კიდევ უფრო უმნიშვნელოა / არ ჩამორჩება ცხოველებისას

9. სოციალ-ევოლუციონისტები ამტკიცებენ, რომ სოციალური ევოლუცია ბიოლოგიური ------ მათ შორის ------ ხედავენ: ბიოლოგიური ევოლუცია, რომლისთვისაც არსებითია ინდივიდის შეგუებულობა, ------ სოციალური ევოლუცია, რომელიც საზოგადოების შეგუებულობას გულისხმობს, მიმდინარეობს ------ .

(ა) ევოლუციის ანალოგიურია, თუმცა / სხვაობებსაც / ნელი და შემთხვევითია, ხოლო / როგორც დაუგეგმავად, ისე განსაზღვრული გეგმის მიხედვით და მისი შედეგებიც შედარებით სწრაფია

(ბ) ევოლუციისგან აშკარად განსხვავდება, თუმცა / ანალოგიასაც / ნელი და შემთხვევითია, ზუსტად ასევე / როგორც დაუგეგმავად, ისე განსაზღვრული გეგმის მიხედვით

(გ) ევოლუციისგან დიდად არ განსხვავდება, ამიტომ / ბევრ პარალელს / მოიცავს მთლიანად საზოგადოებებს და არა ინდივიდებს, მსგავსად ამისა / სტრუქტურული ცვლილებებისა და გადარჩევის პროცესის სახით

(დ) ევოლუციის ანალოგიური არ არის და / მნიშვნელოვან განსხვავებას / კულტურული ტენდენციების ცვალებადობას განაპირობებს, მაშინ, როცა / ინდივიდის გარემოსთან ადაპტაციის სახით და წინასწარ განსაზღვრული ხასიათი აქვს

10. არ არსებობს უფრო ძნელი, წარმატების მიღწევის თვალსაზრისით უფრო საეჭვო და სახიფათო საქმე, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება: სიახლის დამნერგავს ------ ყველა, ვისთვისაც ------ წესრიგი; ხოლო ისინი, ვისთვისაც, პირიქით, ------ , გაუბედავად დაიცავენ მას.

(ა) მხარს დაუჭერს / ხელსაყრელი იქნება ახალი / ძველი ნაკლებად ხელსაყრელი იყო

(ბ) მტრად ექცევა / არახელსაყრელი იქნება ახალი / ძველი უფრო ხელსაყრელი იყო

(გ) მხარს დაუჭერს / არახელსაყრელი იყო ძველი / ახალი ნაკლებად ხელსაყრელი იქნება

(დ) მტრად ექცევა / ხელსაყრელი იყო ძველი / ახალი უფრო ხელსაყრელი იქნება

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. მოცემულია:

- ამ გზაზე ნებადართულია უსაფრთხოების ღვედის გარეშე მგზავრობა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>გამომდინარეობს</u>** მოცემული დებულებიდან?*

ამ გზაზე:

(ა) ნებადართული არ არის უსაფრთხოების ღვედით მგზავრობა.

(ბ) აკრძალულია უსაფრთხოების ღვედით მგზავრობა.

(გ) სავალდებულო არ არის უსაფრთხოების ღვედით მგზავრობა.

(დ) სავალდებულოა უსაფრთხოების ღვედის გარეშე მგზავრობა.

(ე) სავალდებულო არ არის უსაფრთხოების ღვედის გარეშე მგზავრობა.

12. ცნობილია, რომ ძაღლებს შეუძლიათ ადამიანის ემოციების ამოცნობა – ისინი არჩევენ, ადამიანი გაბრაზებულია, გახარებულია თუ მოწყენილია, და შესაბამისად რეაგირებენ. ამასთან, ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ძაღლებს აქვთ უნარი, მხოლოდ სახის გამომეტყველების მიხედვითაც კი ამოიცნონ ადამიანის ემოციური მდგომარეობა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება **განმტკიცებს ყველაზე მეტად** აღნიშნულ ვარაუდს?*

(ა) საკუთარი სახეობის წარმომადგენლების ემოციების ამოცნობის უნარი კარგადაა განვითარებული ყველა იმ სახეობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალურობის მაღალი ხარისხი – ასეთთა რიგს მიეკუთვნება ძაღლიც.

(ბ) ცნობილია, რომ ძაღლებს საკმაოდ ცუდი მხედველობა აქვთ და როგორც ერთმანეთთან, ისე ადამიანებთან ურთიერთობაში, ძირითადად, ყნოსვისა და სმენის უნარებს იყენებენ.

(გ) ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ძაღლებს აქვთ ადამიანთა სახეების ცნობის თანდაყოლილი უნარი – ისინი შორი მანძილიდან მხოლოდ სახის დანახვითაც განასხვავებენ გარეგნულად ერთმანეთის საკმაოდ მსგავს ადამიანებს.

(დ) ექსპერიმენტები, რომლებიც ძაღლების მიერ ადამიანთა ემოციების ამოცნობის უნარის კვლევას ისახავდა მიზნად, მხოლოდ ერთი ჯიშის ძაღლებზე ჩატარდა.

(ე) ექსპერიმენტში ძაღლების ერთ ჯგუფს ასწავლიდნენ კომპიუტერის ეკრანზე დანახული ადამიანების ემოციების ამოცნობას, ხოლო მეორე ჯგუფს – უშუალოდ მათ წინ მდგარ ადამიანთა ემოციების ამოცნობას. მეორე ჯგუფი ბევრად უფრო წარმატებული აღმოჩნდა.

13. სასტუმროს დერეფნის ორივე მხარეს, ერთმანეთის პირდაპირ, სამ-სამი ოთახია. დერეფნის დასაწყისიდან ოთახები გადანომრილია 1-დან 6-მდე რიცხვებით საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. ამ ოთახებში ექვსი სტუმარი დაბინავდა: კახა, სანდრო, მაკა, ია, ნიკა და ანა (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). მოცემულია:

1	**2**	**3**
6	**5**	**4**

- კახას და მაკას ოთახები დიაგონალურადაა განლაგებული (უკიდურესად დაშორებულია ერთმანეთისგან).
- სანდროსა და იას ოთახები დერეფნის ერთ მხარესაა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ოთახის ნომრების რომელი განაწილებაა **<u>შესაძლებელი,</u>** თუ ეს პირობები სრულდება?*

	1	**2**	**3**	**4**	**5**	**6**
(ა)	ანა	ნიკა	მაკა	კახა	ია	სანდრო
(ბ)	მაკა	ნიკა	სანდრო	კახა	ია	ანა
(გ)	კახა	ია	ანა	მაკა	ნიკა	სანდრო
(დ)	ია	სანდრო	კახა	მაკა	ანა	ნიკა
(ე)	სანდრო	ია	კახა	ანა	ნიკა	მაკა

14. მოცემულია:

- არსებობენ ფოთლოვანი მცენარეები.
- ყველა ფოთლოვანი მცენარე მწვანე მცენარეებს მიეკუთვნება.
- ყველა მწვანე მცენარისათვის აუცილებელია ჟანგბადი.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **შეიძლება იყოს მცდარი,** თუ მოცემული დებულებები ჭეშმარიტია?*

(ა) ყველა ფოთლოვანი მცენარისათვის აუცილებელია ჟანგბადი.

(ბ) არსებობს ფოთლოვანი მცენარე, რომლისთვისაც აუცილებელია ჟანგბადი.

(გ) არსებობს არაფოთლოვანი მცენარე, რომლისთვისაც აუცილებელია ჟანგბადი.

(დ) ყველა მცენარე, რომლისთვისაც აუცილებელი არ არის ჟანგბადი, არაფოთლოვანია.

(ე) არ არსებობს ფოთლოვანი მცენარე, რომლისთვისაც აუცილებელი არ არის ჟანგბადი.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i

საქართველოში პროდუქციის ფალსიფიცირება, ძირითადად, სარდაფებში მოწყობილ „საწარმოებში“ ხდება, სადაც უცხოური ბრენდის პარფიუმერიულ თუ სასურსათო ნაწარმს ამზადებენ. ასეთი სარდაფების რიცხვი თანდათან იკლებს და ტენდენცია ისეთია, რომ ადრე თუ გვიან ისინი გაქრება. თუმცა, თბილისში მაინც არსებობს ერთი, უფრო სწორად, ორი „სარდაფი“, რომელთაც გაქრობა ნამდვილად არ ემუქრება. აქ რეალური თუ არარეალური ადამიანებისა და ლიტერატურული პერსონაჟების ცხოვრების „ფალსიფიცირებას“ ახდენენ. ეს ყველაფერი სცენაზე ხდება, დაახლოებით 100 მაყურებლის წინ.

ii

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა, ხალხს არ სცალია თეატრისთვის, მაგრამ ხვდება, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ჩნდება „თეატრალური სარდაფი“ – ახალი სიტყვა ქართულ სასცენო ხელოვნებაში. შემოქმედება მდიდრული დარბაზებიდან ჩვეულებრივ სარდაფში ჩადის. თეატრალურ „ბაზარზე“ ახალი პროდუქტი ინერგება, უფრო სწორად, ხდება ძველის რედიზაინი, ანუ იცვლება მომხმარებლისთვის მისი მიწოდების კონცეფცია: მაყურებელი მიდის ისეთ თეატრში, რომელშიც არ იგრძნობა კონტრასტი გარე სამყაროსთან.

iii

საწყის ეტაპზე დიდი იყო ჩავარდნის რისკი – როგორც ფინანსური, ისე შემოქმედებითი, თუმცა, პირველივე სპექტაკლს, რომელშიც ცნობილი მსახიობები მონაწილეობდნენ, წარმატება ხვდა წილად. რეჟისორებისა და მსახიობებისათვის აქ მუდმივად იხვეწება სამუშაო გარემო. მათთვის თეატრში თავისუფალი სივრცეა შექმნილი. სპექტაკლის დადგმა შეუძლია ნებისმიერ პროფესიონალ რეჟისორს, რომელიც თავად ირჩევს მსახიობებს, პიესას და სხვ. გარდა ამისა, გამოყოფილია ერთი დღე – ორშაბათი, როცა სცენა ეთმობა დამწყებ რეჟისორებს. ფინანსური რისკების ერთგვარი დაზღვევაც ხდება: თუ სპექტაკლმა სამჯერ განიცადა წარუმატებლობა, ანუ მას არ დაესწრო მაყურებლის საკმარისი რაოდენობა, იგი სცენიდან იხსნება.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ასევე, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი სპექტაკ-
ლის დადგმა. თეატრის აუდიტორია უმეტესად 40 წლამ-
დე ადამიანებისგან შედგება. მათი უდიდესი წილი კი
16-25 წლის მაყურებელია. ერთსა და იმავე სპექტაკლს
ახალგაზრდები არაერთხელ ესწრებიან, ზეპირად იციან
მსახიობთა ტექსტები, რაც მათ სცენასთან და მსახიობ-
თან კიდევ უფრო აახლოებს. სარდაფმა შეძლო ახალ
თაობაში თეატრისადმი ინტერესის გაღვიძება, რაც მას
დამატებით სოციალურ დატვირთვას ანიჭებს.

iv ნებისმიერი ორგანიზაციისთვის კონკურენცია
ერთ-ერთი უძლიერესი სტიმულია. სარდაფსაც ჰყავს
კონკურენტები – ყველა დანარჩენი თეატრი, გარდა
რუსთაველის თეატრისა, რომელსაც, სარდაფში მოღვა-
წეთა აზრით, სულ სხვა დატვირთვა აქვს ქართულ
სასცენო ხელოვნებაში. ამიტომ სარდაფის თეატრში
თავდაუზოგავად მუშაობენ, რათა მაყურებელს ყოველ-
თვის კონკურენტუნარიანი „პროდუქტი“ შესთავაზონ.
აქ წელიწადში არაერთი პრემიერა იმართება. სარდაფის
წარმატებულობის საუკეთესო ინდიკატორი იყო ის, რომ
შეიქმნა გაფართოების საჭიროება. გაჩნდა კიდევ ერთი –
ვაკის სარდაფი.

v სარდაფს საქმიანი ურთიერთობები აქვს სხვადასხვა
ორგანიზაციასა და კომპანიასთან, რაც ემსახურება რო-
გორც ერთი, ისე მეორე მხარის ინტერესებს. თეატრი მათ-
გან, ძირითადად, ფინანსურ მხარდაჭერას იღებს, სანაცვ-
ლოდ კომპანიებს საშუალება ეძლევათ, გვერდში დაუდგ-
ნენ ხელოვნების პრესტიჟულ კერას და საკუთარი იმიჯი
აიმაღლონ. სარდაფში ფიქრობენ, რომ ყველა პროგრესული
ორგანიზაცია თავის იმიჯს საზოგადოებისათვის სასარ-
გებლო საქმით უნდა იუმჯობესებდეს, რაც ხშირად ქველ-
მოქმედებაში გამოიხატება. საქველმოქმედო სპექტაკლებს
სარდაფიც დგამს.

vi რა იქნება მომავალში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ
რა სტრატეგიას, განვითარების რა გზას აირჩევს თეატრი,
როგორც ორგანიზაცია. ერთი რამ კი ცხადია: ყოველთვის
იქნება სცენა, იქნებიან მასზე მოთამაშე მსახიობები, სულ-
განაბული მაყურებელი და რეჟისორი კულისებს მიღმა.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

15. რა მიზნით არის მოყვანილი სარდაფში მოქმედი ორი ტიპის ორგანიზაციათა აღწერა ტექსტის I აბზაცში?

ეს არის:

(ა) მცდელობა, აიხსნას, რატომ ქრება ზოგიერთი ორგანიზაცია და ზოგიერთს კი, პირიქით, გაქრობა არ ემუქრება.

(ბ) მცდელობა, მიაპყროს მკითხველის ყურადღება მსგავსებასა თუ განსხვავებაზე იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სარდაფებში საქმიანობენ.

(გ) დაპირისპირების ერთგვარი ხერხი, რათა დაგვანახოს, რომ პროდუქტის ფალსიფიცირება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი.

(დ) ერთგვარი მხატვრული ხერხი მკითხველის ყურადღების მისაპყრობად და ინტერესის გასაღვივებლად.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

16. რამ უკარნახა „თეატრალური სარდაფის“ დამაარსებლებს მაყურებლისათვის ახალი პროდუქტის მიწოდება?

(ა) ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და ტრადიციული თეატრებისათვის ჩვეული გარემოს შეუსაბამობამ.

(ბ) სურვილმა, შეექმნათ რაიმე ორიგინალური და ამით საზოგადოების ყურადღება სასცენო ხელოვნებისკენ მიემართათ.

(გ) იმის გაცნობიერებამ, რომ საჭირო იყო ცვლილებების შეტანა ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში.

(დ) ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თეატრისათვის შესაბამისი შენობის გამონახვის სირთულემ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

17. ქვემოთ მოცემულია თეატრის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები. მათგან რომელი არ არის ნახსენები ტექსტში?

(ა) ცნობილი მსახიობების მონაწილეობა სარდაფის თეატრის სპექტაკლებში.
(ბ) აუდიტორიის მოსაზიდად ჩატარებული სარეკლამო ღონისძიებები.
(გ) პროფესიონალი რეჟისორების მიერ სპექტაკლების დადგმა.
(დ) ახალ-ახალი სპექტაკლების შეთავაზება მაყურებლისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

18. ტექსტის რომელ აბზაცებშია მინიშნებული „სარდაფის თეატრის“ სოციალურად ორიენტირებულობა?

(ა) I, II და IV აბზაცებში.

(ბ) II, III და V აბზაცებში.

(გ) I და V აბზაცებში.

(დ) III და IV აბზაცებში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

19. წინადადებათა რომელ წყვილშია წარმოდგენილი (I) ფაქტი და (II) მისი ამხსნელი გარემოება?

(ა) I. კონკურენცია ორგანიზაციისათვის უძლიერესი სტიმულია;
II. აქ თავდაუზოგავად მუშაობენ.

(ბ) I. მაყურებელს კონკურენტუნარიანი „პროდუქტი“ უნდა შესთავაზონ;
II. აქ წელიწადში არაერთი პრემიერა იმართება.

(გ) I. სარდაფის კონკურენტია ყველა თეატრი, გარდა რუსთაველის თეატრისა;
II. რუსთაველის თეატრს სულ სხვა დატვირთვა აქვს ქართულ სასცენო ხელოვნებაში.

(დ) I. „სარდაფის“ წარმატებულობის საუკეთესო ინდიკატორია მისი გაფართოების საჭიროება;
II. გაჩნდა „ვაკის სარდაფი“.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

20. რა არის ტექსტის ძირითადი დანიშნულება?

(ა) გაგვაცნოს ერთ-ერთი თეატრის შექმნის ისტორია და მისი, როგორც ორგანიზაციის, წარმატების განმაპირობებელი ზოგიერთი ფაქტორი.

(ბ) ერთ-ერთი თეატრის მაგალითზე განიხილოს ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა საქართველოში მოღვაწე ნებისმიერი ორგანიზაციისათვის.

(გ) დაასაბუთოს ის აზრი, რომ თეატრსა და თეატრალურ ცხოვრებას არაფერი ემუქრება, მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა გზას აირჩევენ მისი მესვეურები.

(დ) დაგვანახოს, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული სასცენო ხელოვნებაში ახალი სიტყვის თქმა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. ფილმი გადაიღო : კინოკამერა

(ა) ორკესტრს უხელმძღვანელა : პარტიტურა

(ბ) ფოკუსი გაასწორა : ფოტოაპარატი

(გ) კედელი მოხატა : ფუნჯი

(დ) როიალი ააწყო : კლავიში

(ე) შენობა მოაპირკეთა : ფილა

22. ტაბუირებული : ნებადართული

(ა) შენიღბული : დაფარული

(ბ) ქარაგმული : ორაზროვანი

(გ) მეტაფორული : მხატვრული

(დ) დაშიფრული : გამჟღავნებული

(ე) ჰიპერბოლიზებული : გაზვიადებული

23. აუზი : ავზი

(ა) უჯრა : უჯრედი

(ბ) წიგნი : წიგნაკი

(გ) ქვა : გამოქვაბული

(დ) სათავე : სათაური

(ე) ნაკვეთი : მონაკვეთი

24. ალბათობა : შესაძლებლობა

(ა) ეკოსისტემა : სახეობა

(ბ) ცხრილი : სქემატურობა

(გ) სიუჟეტი : ლაკონურობა

(დ) სიმბოლო : პირობითობა

(ე) მოვლენა : მასშტაბურობა

25. ტოლობის ნიშანი : განტოლება

(ა) წერტილი : კოორდინატები

(ბ) მზე : მზის სისტემა

(გ) მდინარე : დელტა

(დ) დოღი : ბარიერი

(ე) თაღი : სასახლის დარბაზი

26. სკანდალი : გახმაურებული

(ა) რიტუალი : საიდუმლო

(ბ) მოძღვრება : უტოპიური

(გ) ინფლაცია : პერიოდული

(დ) მეთოდი : კომპლექსური

(ე) პანდემია : ტოტალური

27. სერპანტინი : ზიგზაგისებურად

(ა) მორევი : ძაბრისებურად

(ბ) გზა : ჰორიზონტალურად

(გ) ეკვატორი : პარალელურად

(დ) კიბე : იერარქიულად

(ე) ხიდი : თაღისებურად

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

28. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ისტორიას, მისი პრაქტიკული სარგებლიანობისგან დამოუკიდებლად, ------ ნამდვილი მეცნიერების სტატუსი, ------ , რომ, ------ ნაცვლად, ------ ნათელყოფს მათ შორის კავშირებს.

(ა) უფლება აქვს, მოითხოვოს / ოღონდ იმ პირობით / ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტების ჩამოთვლის / მათ კლასიფიკაციას განახორციელებს და

(ბ) უფლება არ აქვს, მოითხოვოს / ვინაიდან აშკარაა / ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების / ის მათ კლასიფიკაციას ესწრაფვის და

(გ) არ უნდა მივანიჭოთ / თუკი დავრწმუნდებით / ერთი შეხედვით, ერთმანეთთან დაკავშირებელი ფაქტების კლასიფიკაციის / ის მათ ახსნას ესწრაფვის და

(დ) შეიძლება მივანიჭოთ / მიუხედავად მისი იმ სპეციფიკისა / ერთი შეხედვით, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტების კლასიფიკაციისა და ახსნის / ის

29. ------ ყველა იმ ------ ბუნების კვლევის შედეგად, ასევე, ტექნოლოგიის წინსვლამ, რომელიც ------ , შეიძლება, ------ .

(ა) გასაკვირი არ არის, რომ / ზიანმა, რომელიც ადამიანმა გარემოს მიაყენა / სულ უფრო გვაახლოებს ეკოლოგიურ კატასტროფასთან / კაცობრიობას სიკეთე მოუტანოს

(ბ) პარადოქსია, მაგრამ / სიკეთემ, რომელიც ადამიანს ეძლევა / თითქოს მოწოდებულია, ადამიანს ცხოვრება გაუიოლოს / კაცობრიობა დაღუპვამდე მიიყვანოს

(გ) გასაკვირი არ არის, რომ / სიკეთემ, რომელიც ადამიანს ეძლევა / სულ უფრო გვაახლოებს ეკოლოგიურ კატასტროფასთან / კაცობრიობას სიკეთე მოუტანოს

(დ) პარადოქსია, მაგრამ / ზიანმა, რომელიც ადამიანმა გარემოს მიაყენა / თითქოს მოწოდებულია, ადამიანს ცხოვრება გაუიოლოს / კაცობრიობა დაღუპვამდე მიიყვანოს

30. რჩევის მიცემის ნამდვილი ხელოვნება ისაა, რომ მას შემდეგ, რაც გულწრფელად მიეცი რჩევა სხვას, ------ გაითვალისწინა ------ მოინდომო, ------ დაჟინებული მოთხოვნით ან იძულებით.

(ა) ყურადღება აღარ მიაქციო იმას, როგორ და როდის / მან ის, და / ადამიანებს შენი რჩევის მიხედვით მოქმედებისკენ უბიძგო

(ბ) გულგრილი არ დარჩე იმის მიმართ, / თუ არა მან ის, და, შესაბამისად, არ / ადამიანებს შენი რჩევის მიხედვით მოქმედებისკენ უბიძგო

(გ) ყურადღება მიაქციო იმასაც, როგორ და როდის / მან ის, და / ადამიანებმა თვითონ „განსაზღვრონ საკუთარი გზა“

(დ) გულგრილი დარჩე იმის მიმართ, / თუ არა მან ის, და არ / ადამიანები „სწორ გზაზე დააყენო“

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. მუზეუმმა შეისყიდა ვან-გოგის, გოგენის, სეზანისა და მოდილიანის თითო ნახატი. ერთ-ერთი მათგანი გუაშითაა შესრულებული, ერთი – აკვარელით, ერთი – პასტელით, ხოლო ერთი – ზეთის საღებავებით. ცნობილია, რომ:

- გუაშით შესრულებულ ნახატში გადაიხადეს აკვარელით შესრულებულ ნახატზე მეტი, მაგრამ ზეთით შესრულებულ ნახატზე ნაკლები.
- ვან-გოგის ნახატში ყველაზე მეტი გადაიხადეს, ხოლო გოგენის ნახატში – ყველაზე ნაკლები.

*ქვემოთ მოცემულია მხატვრების ნახატებსა და გამოყენებულ მასალას შორის შესაბამისობის სხვადასხვა ვერსია. რომელი მათგანია **შესაძლებელი** პირობების მიხედვით?*

	ვან-გოგის ნახატი	გოგენის ნახატი	სეზანის ნახატი	მოდილიანის ნახატი
(ა)	აკვარელი	პასტელი	ზეთი	გუაში
(ბ)	ზეთი	გუაში	პასტელი	აკვარელი
(გ)	გუაში	აკვარელი	ზეთი	პასტელი
(დ)	პასტელი	გუაში	აკვარელი	ზეთი
(ე)	პასტელი	აკვარელი	გუაში	ზეთი

32. სპილოები ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებენ ხმოვან სიგნალებს. ამასთან, ამ სიგნალების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა საფრთხის შესახებ თანამოძმეების გაფრთხილება. სპილოების გამაფრთხილებელი სიგნალების ჩანაწერების ანალიზისა და ურთიერთშედარების საფუძველზე მკვლევართა ჯგუფმა ივარაუდა, რომ **<u>სპილოები საფრთხის ტიპისა და სერიოზულობის შესაბამის სპეციფიკურ ხმოვან სიგნალებს აძლევენ ერთმანეთს.</u>**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება **<u>დააყენებს ეჭვქვეშ</u>** ამ ვარაუდს ყველაზე მეტად?*

(ა) ჩანაწერების ანალიზმა აჩვენა, რომ სპილოების გამაფრთხილებელი ძახილი ფუტკრების გამოჩენისას და მათი ძახილი ადამიანების გამოჩენისას აკუსტიკურად ერთმანეთისგან განსხვავდება.

(ბ) სხვადასხვა ტიპის საფრთხეზე სპილოები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ: გაღიზიანებული ფუტკრების გამოჩენისას ისინი თავების ქნევას იწყებენ, ხოლო ადამიანების გამოჩენისას – გარბიან.

(გ) ექსპერიმენტში სპილოების ჯოგს სხვადასხვა ვითარებაში მოასმენინეს მათი რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული გამაფრთხილებელი ძახილის მანამდე გაკეთებული ჩანაწერები. სპილოების რეაქცია ყველა შემთხვევაში ერთნაირი იყო.

(დ) ექსპერიმენტში მონაწილე სპილოების ჯოგს ჩაურთეს სპილოების სხვა გუნდის გამაფრთხილებელი ძახილის ჩანაწერი. ჩანაწერის ჩართვისთანავე სპილოები გაიქცნენ და თან თვითონაც დაიწყეს ანალოგიური ხმების გამოცემა.

(ე) ჩანაწერების ანალიზმა აჩვენა, რომ სპილოების გამაფრთხილებელი ძახილი მით უფრო ხმამაღალი და ინტენსიურია, რაც უფრო სწრაფად ახლოვდება მათ მიერ აღქმული საფრთხე.

33. მოცემულია დებულებები:

I. ჩემს ბიბლიოთეკაში ზოგიერთი წიგნი ფრანგულენოვანია.

II. ჩემს მეგობარს არც ერთი ფრანგულენოვანი წიგნი არ აქვს წაკითხული.

III. ჩემს მეგობარს წაკითხული აქვს ყველა წიგნი, რომელიც ჩემს ბიბლიოთეკაშია.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **<u>მცდარი</u>** მსჯელობა ამ დებულებებს შორის მიმართების შესახებ?*

(ა) I და II დებულებებიდან გამომდინარეობს III-ის უარყოფა.

(ბ) II და III დებულებებიდან გამომდინარეობს I-ის უარყოფა.

(გ) I და III დებულებებიდან გამომდინარეობს II-ის უარყოფა.

(დ) თითოეული მათგანი გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან.

(ე) არც ერთი მათგანი არ გამომდინარეობს დანარჩენი ორიდან.

34. მოცემულია:

- თუ გლობალური დათბობა ამავე ტემპით გაგრძელდება, დედამიწაზე არსებული მყინვარები სწრაფად დადნება.
- თუ დედამიწაზე არსებული მყინვარები სწრაფად დადნება, ბევრი სახეობა საარსებო გარემოს გარეშე დარჩება.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>გამომდინარეობს</u>** ამ დებულებებიდან?*

(ა) გლობალური დათბობა ამავე ტემპით არ გაგრძელდება ან ბევრი სახეობა საარსებო გარემოს გარეშე არ დარჩება.

(ბ) თუ დედამიწაზე არსებული მყინვარები სწრაფად არ დადნება, მაშინ ბევრ სახეობას საარსებო გარემო შეუნარჩუნდება.

(გ) გლობალური დათბობა ამავე ტემპით არ გაგრძელდება ან ბევრი სახეობა საარსებო გარემოს გარეშე დარჩება.

(დ) გლობალური დათბობა ამავე ტემპით გაგრძელდება ან ბევრი სახეობა საარსებო გარემოს გარეშე დარჩება.

(ე) თუ გლობალური დათბობა ამავე ტემპით არ გაგრძელდება, მაშინ ბევრ სახეობას საარსებო გარემო შეუნარჩუნდება.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i ჯერ კიდევ 20 წლის წინ მკვლევართა უმეტესობა ფიქრობდა, რომ იცოდა დრო, ადგილი და ხანგრძლივობა ნეოლითური რევოლუციისა, რომელმაც სათავე დაუდო მიწათმოქმედებას და მონადირე-შემგროვებელთა დაქსაქსული, მომთაბარე ჯგუფების ერთ ადგილზე დამკვიდრებას. მიწათმოქმედ ადამიანებს შეეძლოთ, ერთად ეცხოვრათ უფრო დიდ ჯგუფებად. ხალხმრავალ საზოგადოებაში კი შეიძლებოდა იდეების ადვილად გაცვლა-გამოცვლა. გაიზარდა ტექნოლოგიური თუ სოციალური ინოვაციების ტემპი. გარდაუვალი გახდა ორგანიზებული რელიგიის წარმოქმნა ჯერ კიდევ არამყარი ჯგუფების გასაერთიანებლად.

ii ბოლო წლებში კი მრავალმა ახალმა აღმოჩენამ, პირველ რიგში, გობექლი თეფეს კომპლექსის კვლევის შედეგებმა, ბევრი მეცნიერი აიძულა, თავიანთი მოსაზრებები გადაესინჯათ. **გობექლი თეფეს** კომპლექსი მდებარეობს სამხრეთ თურქეთში ტიგროსისა და ევფრატის სათავეებთან. ის დაახლოებით ძვ. წ. 9600-8200 წლებში ააგეს. აქ წრეებად არის აღმართული რამდენიმე ათეული ქვის მასიური სვეტი. მოჩუქურთმებულ კირქვის სვეტებზე გამოსახულია ლომების, ტახების, წეროების, მორიელებისა და მელიების ბარელიეფები. გობექლი თეფეს კვლევა გერმანელმა მეცნიერმა კლაუს შმიდტმა 1994 წელს დაიწყო. მან აღმოაჩინა სვეტების პირველი წრე. გეომაგნიტურმა კვლევამ მიწის ქვეშ კიდევ 20 წრე გამოავლინა. ყველაზე დიდი, 16-ტონიანი სვეტი 5,4 მეტრი სიმაღლისაა. წრეები განლაგებულია გარკვეული წესის მიხედვით. კირქვის თითოეულ სვეტს გიგანტური ასო T-ს ფორმა აქვს.

iii შმიდტის აზრით, T-სვეტები ადამიანის „სტილიზებული“ გამოხატულებებია – ზოგიერთი სვეტის „მხრებიდან“ ეშვება ხელები ფაქიზად დამუშავებული თითებით, რომლებიც „წელზე შემოხვეული სარტყლისკენაა“ მიმართული. ქვები პირით ცენტრისკენაა მობრუნებული, როგორც „შეხვედრისას ან ცეკვისას“. შესაძლოა, ეს რელიგიურ რიტუალს (ღვთისმსახურთა როკვას) ასახავდეს. ზოგიერთი მოსაზრებით, ბარელიეფების ცხოველები სვეტებად გამო-

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

სახულ ფიგურებს იცავდნენ, როგორც იმქვეყნიურ არსებათა ძლევამოსილ სიმბოლოებს. გობექლი თეფეში არ არის აღმოჩენილი დასახლების რაიმე ნიშანი – კერია ან მიწათმოქმედების კვალი. გობექლი თეფე სალოცავი ადგილი იყო. ის შეიძლებოდა, ასევე, დისნეილენდის ნეოლითური ვერსიაც ყოფილიყო – აქ მართავდნენ დღესასწაულებს, იკრიბებოდნენ გასართობად. გარკვეული სახის სოციალური ორგანიზაცია აუცილებელი იქნებოდა როგორც ტაძრის ასაშენებლად, ისე იქ თავმოყრილი ხალხის სამართავად. ეს ტაძარი შემგროვებლებმა ააგეს. შმიდტის აზრით, გობექლი თეფე ცივილიზაციის განვითარების შებრუნებულ სცენარს გვთავაზობს: შემგროვებლების მიერ მასიური ტაძრის აგება იმას ამტკიცებს, რომ რელიგია, შესაძლოა, ცივილიზაციის განვითარებამდეც წარმოიშვა.

iv ფრანგი არქეოლოგი ჟაკ კოვენი „სიმბოლოების რევოლუციას“ უწოდებს ცნობიერებაში მომხდარ იმ კონცეპტუალურ ცვლილებას, რომელმაც ადამიანს საშუალება მისცა, წარმოედგინა ღმერთები, როგორც ადამიანის მსგავსი ზეარსებები, რომლებიც ფიზიკური სამყაროს მიღმა არსებობდნენ. შმიდტი გობექლი თეფეს კოვენის შეხედულების ილუსტრაციად განიხილავს. „T-სვეტები სწორედ იმ სხვა სამყაროს ბინადართა სიმბოლოებია“, ამბობს ის და დასძენს: „ცივილიზაციის დასაბამს დღემდე ჩვენ ყველანი ბუნების ძალებს მივაწერდით. ახლა კი ვფიქრობ, ცივილიზაცია ადამიანის გონების ნაყოფია“. თუმცა, ზოგი მეცნიერი ეჭვის თვალით უყურებს ცივილიზაციის განვითარების საერთო სცენარის პოვნის მცდელობას. ცივილიზაციის განვითარების საფუძველი ერთ ადგილას შეიძლებოდა ყოფილიყო მიწათმოქმედება, სხვაგან – ხელოვნება და რელიგია ან მოსახლეობის ზრდა და სოციალური ორგანიზაცია.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

35. რა მიმართებაა I-სა და II აბზაცებს შორის?

(ა) II აბზაცში აღწერილი აღმოჩენა დამატებითი არგუმენტის ფუნქციას ასრულებს ადამიანის განვითარების გზის აღიარებული ვერსიისთვის, რომელიც I აბზაცშია შემოთავაზებული.

(ბ) II აბზაცში მინიშნებაა იმის შესახებ, რომ მასში აღწერილმა მაგალითმა შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს ადამიანის განვითარების ტრადიციული სცენარი, რომელიც I აბზაცშია მოცემული.

(გ) II აბზაცში შემოთავაზებული მაგალითი სრულიად აბათილებს ნეოლითური რევოლუციის შესახებ მსჯელობას, რომელიც I აბზაცშია განვითარებული.

(დ) II აბზაცში მოცემულია ალტერნატიული ვერსია მიწათმოქმედების განვითარების თეორიისა, რომელიც I აბზაცშია ჩამოყალიბებული.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

36. რის საფუძველზე ვარაუდობს კლაუს შმიდტი, რომ T-სვეტები ადამიანის სტილიზებული გამოსახულებებია?

(ა) T-სვეტები წრიულად არის განლაგებული, ქვები პირით ცენტრისკენ არის მობრუნებული და ღვთისმსახურთა გამოსახულებებს წარმოადგენს.

(ბ) კირქვის სვეტებს გიგანტური ასო T-ს ფორმა აქვს და მოჩუქურთმებულია; ეს სვეტები შემგროვებლებმა აღმართეს.

(გ) T-სვეტებზე ე. წ. სარტყელთან გამოკვეთილია ხელის თითები, ხოლო სვეტები ისეა ერთმანეთისკენ მიბრუნებული, როგორც ადამიანები ცეკვისას.

(დ) T-სვეტებს ადამიანის ფორმა აქვს, თითოეულს გამოკვეთილი აქვს თავი, მხრები და ხელები; ერთმანეთს „უყურებენ“, როგორც ადამიანები შეხვედრისას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება თუ ფაქტი **<u>არ მიგვითითებს უშუალოდ</u>** გობექლი თეფეს დანიშნულებაზე?

(ა) სვეტების განლაგება შეიძლება, გამოხატავდეს ღვთისმსახურთა სარიტუალო ცეკვას.

(ბ) გობექლი თეფე შეიძლებოდა, დისნეილენდის ნეოლითური ვერსიაც ყოფილიყო.

(გ) გობექლი თეფეში არქეოლოგებმა ვერ აღმოაჩინეს დასახლების ვერანაირი ნიშანი.

(დ) ბარელიეფზე ამოკვეთილი ცხოველები შესაძლოა, იცავდნენ სვეტებად გამოსახულ ფიგურებს – იმქვეყნიურ არსებათა ძლევამოსილ სიმბოლოებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

38. შმიდტი გობექლი თეფეს კოვენის თეორიის ილუსტრაციად განიხილავს, რადგან:

(ა) ამ კომპლექსის კვლევისას მოპოვებული ზოგიერთი არტეფაქტი ადასტურებს იმას, რომ ამ დროის ადამიანს უკვე შეეძლო, წარმოედგინა ღმერთები ადამიანის სახით და ეცადა მათი სიმბოლურად გამოსახვა.

(ბ) ამ მასიური ტაძრის კვლევისას მოპოვებული მასალა ადასტურებს იმას, რომ ადამიანთა ჯგუფებში, რომლებიც ნეოლითურ ხანაში დამკვიდრდნენ ამ რეგიონში, ცივილიზაციის განვითარება საერთო სცენარით წარიმართა.

(გ) ამ კომპლექსის ასაგებად საჭირო იყო ტექნოლოგიური ცოდნა და უნარები, რომლებიც მონადირე-შემგროვებელ საზოგადოებას არ გააჩნდა.

(დ) გობექლი თეფეს არსებობა ახალ მტკიცებულებებს გვაწვდის ცივილიზაციის განვითარების შესახებ დამკვიდრებული მოსაზრებებისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

39. ქვემოთ მოცემულია მოსაზრებები ცივილიზაციის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ. მათგან რომელი **<u>არ არის ასახული</u>** ტექსტის ბოლო წინადადებაში?

(ა) მომთაბარე ჯგუფების ერთ ადგილას დამკვიდრებამ და მიწათმოქმედების განვითარებამ ხელი შეუწყო ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების წარმოქმნას, რაც ცივილიზაციის განვითარებას გულისხმობს.

(ბ) ადამიანის მოწიწებას ზებუნებრივი ძალებისადმი და მის სწრაფვას სანახაობის მიმართ შეიძლებოდა, თავად ცივილიზაციისთვის მიეცა დასაბამი.

(გ) ცივილიზაციის აღმასვლას ბიძგი მისცა გარემოს ცვლილებამ: გამყინვარების დასრულების შემდეგ ადამიანს ახალი ტერიტორიების ათვისების შესაძლებლობა მიეცა, რამაც ცივილიზაციის ახალი კერების წარმოქმნა განაპირობა.

(დ) ადამიანთა დიდი ჯგუფების თანაცხოვრება ხელს უწყობს მათ შორის ცოდნისა და იდეების გავრცელებას, ასევე, მოითხოვს ახალი სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რაც ცივილიზაციის განვითარების წინაპირობაა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

40. გთავაზობთ გობექლი თეფეს რეგიონთან დაკავშირებულ დამატებით ცნობებს:

I – ნეოლითური რევოლუციის ცენტრი იყო „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“ – რკალის ფორმის ტერიტორია, რომელიც ღაზის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უხვევს სამხრეთ თურქეთისკენ და შემდეგ ერაყისკენ მიემართება. ძვ. წ. 6000 წლისთვის შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებამდე ტრანსფორმაციის ეტაპი აქ თითქმის დასრულებული იყო. გობექლი თეფე ამ რეგიონის ჩრდილოეთ კიდეზეა.

II – მცენარეთა კულტივირებისა და ცხოველთა შინაური ჯიშების გამოყვანის პირველი მტკიცებულება ნუვალუ ჩორიდან მოდის. ეს არის დასახლება გობექლი თეფედან 30 კმ-ის დაშორებით.

III – გობექლი თეფედან 160 კმ-ის მანძილზე არის ნეოლითური დასახლება. მის მახლობლადაც აღმოჩნდა T-ფორმის უფრო მომცრო სვეტებზე გამოსახული ცხოველები.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარაუდი ეფუძნება ტექსტსა და **სამივე** ცნობას?*

(ა) დროთა განმავლობაში გობექლი თეფეს ტაძარზე მომუშავე თუ ცერემონიაზე შეკრებილ ადამიანებს საკმარისი საკვების მოპოვების საჭიროება გაუჩნდებოდათ. სწორედ ამან მისცა ბიძგი ველური მარცვლეულის ინტენსიურ მოშენებასა და ცხოველთა მოშინაურებას.

(ბ) გობექლი თეფე შეიძლებოდა, ყოფილიყო ნეოლითური რევოლუციის ერთ-ერთი კერა. სწორედ მის ირგვლივ ჩამოყალიბდა საერთო რელიგიით გაერთიანებული საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს არქიტექტურისა თუ მქანდაკებლობის გარკვეული სტილი.

(გ) გობექლი თეფეს ტაძრის აგებისას უკვე უნდა ყოფილიყო ამ რეგიონში მცენარეთა კულტივირებისა და ცხოველთა მოშინაურების გამოცდილება; შესაძლოა, აქაც აღმოჩნდეს ნეოლითური დასახლების კვალი.

(დ) გობექლი თეფე ადასტურებს, რომ ცივილიზაცია ადამიანის გონების ნაყოფია. ამაზე მეტყველებს ხელოვნების ის სტილი, რომელიც საერთოა რეგიონში აღმოჩენილი სატაძრო კომპლექსებისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#) [დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40